 ივლისი 26, სამშაბათი № 155


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


ტფილისი, 25 ივლისი

ჩვენს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ ერთი ფრიად საყურადღებო აზრი მოუვიდა ფიქრად. ეს აზრია დაარსება ისეთისავე, ანუ თითქმის ისეთისავე, სკოლისა ქართველთა ქალთათვის, როგორიც არის თავად-აზნაურობის მიერ დაარსებული სკოლა ქართველ ყმაწვილებისათვის. როგორც სათავად-აზნაურო სკოლაა დაარსებული კერძოდ ქართველ თავად-აზნაურთა ხარჯითა, ისე ქალთა სკოლა დაფუძნებული და წარმოებული უნდა იყოს ქართველ საზოგადოების ხარჯითა.

სათავად-აზნაურო სკოლის დაარსება იმიტომ იყო უმეტესად საჭირო, რომ მთავრობის სკოლებში მისაცემად ქართველ ყმაწვილებს დიდი მომზადება ეჭირებოდათ. ამ მომზადების გარდა, ადაგიც ნაკლებად იყო ხოლმე. ხშირად მომზადებული ყმაწვილიც უკან დაუყენებიათ უადგილობის გამო და კარი სწავლის ტაძრისა უწყალოდ დახშული ყმაწვილისათვის იმის შეწუხებულისა და გულ-შემოყრილ მშობლების წინაშე.

აი ის ორი უმთავრესი მიზეზი, რომლის გამოც ჩვენმა თავად-აზნაურობამ იკისრა საკუთარის ხარჯით თავისი საკუთარი სკოლა დაეარსებინა და ამ სკოლაში ემზადებინა თავისი შვილები იმ დრომდე, ვიდრე მთავრობის სკოლაში გადავიდოდნენ სწავლის განსაგრძობად და მერე სახელმწიფოსა და საზოგადო ცხოვრებაში, ნიჭისა და შეძენილის ცოდნის დაკვალად, მონაწილეობის მისაღებად.

ამ ორს მიზეზს გარდა ერთი სხვა მიზეზიც იყო და ამ მესამე მიზეზმაც არა ნაკლებ დაატანა ძალა ჩვენს თავად-აზნაურობას, საკუთარი სკოლა დაეარსებინა. თავად-აზნაურთ ფიქრად ჰქონდათ და აქვსთ დღესაც, რომ თუ ჩვენი ხელ-მოკლეობა, ჩვენი მეურნეობა და ჩვენი ყოფა-ცხოვრება მოითხოვს სხვა გვარს სკოლას, ვიდრე ისა, რომელიც ამ ჟამადა გვაქვს დაარსებული, ავიღებთ და ამ ჩვენს საკუთარს სკოლას გადავაკეთებთ, მოვაწყობთ სწორედ ისე, როგორც ჩვენთვის უფრო ეკეთესი იქმნებაო. ერთის სიტყვითაო, —ჰფიქრობენ ამ სკოლის პატრონები და მზრუნველნი, —ამ სკოლას ისეთს სახეს მივსცემთ, ისეთს ტიპს მივაკუთვნებთ, რა სახესაც და რა ტიპსაც უმეტესად საჭიროდ დავინახავთ ან ჩვენ თვითონ და ან ისინი, ვინც ჩვენი ავლადიდება, გარემოება კარგად იციან, ვისთანაც არა გვაქვს-რა დამალული, არც ჩვენი ციცხვი და არც კოვზიო.

ჩვენის აზრით, ჩვენს „წერა-კითხვის საზოგადოებასაც“ სწორედ ზემოხსენებულმავე მიზეზმა აფიქრებინა ქართველ ქალთათვის საკუთარის სკოლის დაარსება და სწორედ იმავე მიზეზებმა გადააწყვეტინა წარსულს წლიურს კრებაზე შესწეოდა ამ საქმეს ყოველის ღონისძიებით.

მართალია, ჯერ-ჯერობით ისე გაძნელებული არ არის ქართველ ქალთა მიღება დედათა სასწავლებლებში, როგორც ქართველ ყმაწვილების მიღებაა, მაგრამ ასეთი ყოფა დიდხანს აღარ გასტანს და თანდათან ქართველ ქალთათვისაც ისე გაძნელდება დაარსებულ დედათა სასწავლებლებში შესვლა და სწავლა, როგორც ყმაწვილებისათვის გაძნელდა. მალე მოვა ის დროცა, როცა ადაგიც ნაკლები იქნება დედათა სასწავლებლებში და მომზადებაც იქ შესასვლელად ძვირად დაჯდება.

ამ სახით, ის ორი უმთავრესი მიზეზი, რომელიც მოქმედებდა მაშინ, როცა თავად-აზნაურობა თავისს საკუთარს სკოლას აარსებდა, მოქმედებს დღესაც, როცა ქალთა სკოლის დაარსებაზე მივარდა საქმე. მესამე მიზეზიც ამ შემთხვევაში უფრო საყურადღებოა და უმეტესად მხედველობაში მისაღები, ვიდრე სათავად-აზნაურო სკოლის დაარსების დროს იყო. საქმე ის არის, რომ თუ ჩვენის ყმაწვილების სწავლა-განათლება უნდა იყოს შესაფერი და შესაწონი ჩვენის მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრებისა, ნუ თუ იგივე შეფერება და შესაბამობა ნაკლებ საჭიროა ქალთა სწავლა-განათლებისათვის?. ჩვენის ფიქრით, დიდსა და მრავალ საგნებიანს სკოლას ვერ აიტანს ვერც ჩვენი მდგომარეობა, ვერც ჩვენი ჯიბე. ჩვენ ვერ შევსწვდებით იმ დედათა სკოლებს, რომელიც დაარსებულია დღეს. ჩვენთა ქალთათვის ჯერ-ჯერობით უფრო მარტივი, სადა სკოლა უნდა დაარსდეს, უფრო ხელ-მისაწვდომი ჩვენის ჯიბისა დ ქონებისათვის, უფრო შესაფერი და შესაწონი ჩვენის ყოფა-ცხოვრებისა და ბუნებისა.

კერძოდ ამ საგანზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ჯერჯერობით, ქართველ ქალთათვის დაარსებულს სკოლაში 5—6 წელზე მეტი არ უნდა გასტანოს საგნების სწავლებამ და უპირველესი და უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს უფრო ხასიათის აღზრდას, გაწვრთვნას, გაპატიოსნებას ახალგაზდა ქალებისას, ვიდრე მრავალისა და აუარებელის ცოდნის შეძენას; ხელსაქმეს, მეოჯახობას, შრომისა და ჯაფის სიყვარულს, ვიდრე მუსიკისასა და ცეკვა-თამაშობისას.

თუ მადლობით ვიხსენიებთ და მარად სანეტარო მოსაგონებლად გვყავს ჩვენნი დედანი, იმიტომკი არა, რომ ბევრი იცოდნენ, არამედ იმიტომ-რომ მტკიცენი და გულ-მაგარნი იყვნენ ჭირსა და ლხინში, ბურჯად ედგნენ ოჯახს, არა თაკილობდნენ შრომასა და გარჯას, უყვარდათ შვილები, არ ერიდებოდნენ ძნელს საქმეს მათის აღზრდისას და თავსა სდებდნენ, სიცოცხლეს სწირავდნენ ოჯახისა და ქმარ-შვილის ბედნიერებისათვის.

ფ—ი

## ახალი ამბავი

*** თელავიდამ ჩამოსულებისაგან გავიგონეთ ფრიად სამწუხარო ამბავი: ჩვენს უხუცესს პოეტსა და მწერალს თ. რაფიელ ერისთავს ამ სამის დღის წინად დამბლა დასცემია და თელავში თურმე წევს ავადმყოფი.

*** თუ კაცები იჩენენ სხვა-და-სხვა ხერხსა და ოსტატობას ქურდობასა და ავაზაკობაში, არც ქალები ჩამორჩენილან უკან. გუშინ-წინ ერთს კარგად ჩაცმულს მანდილოსანს უყიდნია სხვა-და-სხვა სავაჭროები მეწვრილმანის დუქანში, გაუყოლებია თან ამავე დუქნის შეგირდი და უთქვამს, სახლში გაგისწორდებაო. შეგირდიც გაჰყოლია. როცა შესულან ერთს სახლის ეზოში, ქალს უთქვამს, მოიტა რაც მიყიდნია, შენ აქ დამიცადე და ფულსაც ეხლავე გამოგიტანო. შეგირდს გადაუცია ნავაჭრი ქალისთვის, მხოლოდ იქ დაცდაზე-კი არ დათანხმებულა, თან დასდევნებია; ქალს უვლია აქეთ იქით და უკითხავს ხალხისათვის: კნეინა სადა სდგასო. ამ კითხვაზე ბევრს სიცილით უპასუხნია: კნეინა, ბატონო, აქ ბევრი გახლავსთ, უნდა გვარიც ბრძანოთო. ბოლოს რომ ველარა მოუხერხებია-რა, გადაუცია ნავაჭრი შეგირდისათვის და უთქვამს: უკანვე წაიღე და შემინახეთ, ერთის საათის შემდეგ ჩამოვიტან ფულსაო. ამისთანა მაგალითები არა იშვიათად მომხდარა და შეგირდი რომ ცოხერხებით არ მოქცეულიყო, საქონელს დაანებებდა და მანდილოსანი მალე გაჰქრებოდა.

*** სოფ. ურიათუბანი (კახეთი): ურიათუბნელები შესანიშნავნი არიან იმით, რომ მეტის-მეტად უყვარსთ დავიდარაბა და საჩივრები და ეს თვისება ჩვეულებად გადაექცათ. გლეხს რომ ჰკითხოთ, ასე გიპასუხებსთ, უდავიდარაბოდ არაფერი გაკეთდებაო. ამიტომ ვალს აიღებს და სასამართლოში გაექანება ძმაზედ საჩივლელად ერთის კაპიკის საქმეზე. ამას წინად ოლქის სასამართლოს წევრი იყო ურიათუბანში ადგილობრივ გამოძიების მოსახდენად. უმეტეს ნაწილად ურიათუბნელები მამულებსა სჩიოდნენ და ისიც ნათესავი-ნათესავს, მეზობელი-მეზობელს უჩიოდა. ზოგი ჩიოდა: ჩემი მეზობელი გზას არ მაძლევს ეზოზედ გავიაროო; ზოგი ნათესავს უჩიოდა: მაგას წილი არა აქვს ჩემთან მამულებშიო; ზოგნი შურის გამო უჩიოდნენ ნათესავებს: ჩვენ ვაძლევთ მამულის ხარჯს და რატომ ეგენი-კი არ აძლევენო, მაგის მამულიც სახელმწიფოაო; ზოგი ჩიოდა: ბატონო, აქამდისინ ხარჯს არ ვაძლევდი მამულებისას და ახლა-კი შემაწერესო. როცა ჰკითხეს: მამული შენი საკუთარია, თუ სახელმწიფოო? მან მიუგო: მეც სახელმწიფო გახლავართ და ჩემი მამულებიცა, მხოლოდ, როცა ბატონისაგან განვთავისუფლდით, იმის ნაბოძვარია. თურმე ნუ იტყვით, ამ საცოდავს გაუგებარს, როცა გამიჯვნა ყოფილა, თავისი საკუთარი მამული სახელმწიფოდ უჩვენებია და კომისიასაც ისე ჩაუწიშნია. ვისი ბრალია? ამ საცოდავს არა სცოდნია რა გარჩევაა საკუთარსა, სახელმწიფოსა და საბატონო მამულებს შუა, არა სცოდნია, რომ საკუთარი მამული ხარჯს არ აძლევს და მეპატრონეს კიდეც შეუძლიან გაჰყიდოს; სახელმწიფო-კი არ შეუძლიან გასცეს და ყოველთვის ხარჯი უნდა აძლიოს მამულისა. ამ გლეხსავით ბევრნი სხვანიც მოქცეულან: გამიჯვნის დროს საკუთარი, ბატონისაგან შესყიდული მამულები სახელმწიფოდ უჩვენებიათ და ჰგონებიათ, უფრო კარგი იქნებაო. ახლა ბევრსა სჩივიან, მაგრამ რა გაეწყობა. ამ გამოძიების დროს ადგილობრივ მღვდლის ჩეკუროვის ჩაგონებით და რჩევით ბევრნი მორიგდნენ და შინაურულად გაათავეს საქმე. ვინც არ გაუგონა მღვდელს, დღესაც დადიან თელავის სასამართლოში ოცის ვერსის სიშორეზედ. მუშაობის დროს თან თავიანთ შინაურს საქმეს სცდებიან და თან ნამეტან ხარჯსაც ეწევიან.

*** იმერეთი: იმერლებს წრევანდელი გაზაფხულ-ზაფხული უკანასკნელ დღემდე საოცნებელ დრიდებად მიაჩნდათ. ეგონათ ზენა ქარის სამუდამოდ ჩადგომა, მაგრამ უეცრად ფენიქსებრ განახლებული ამოვარდა თავის მძვინვარებით და ჰლამის გადახრუკოს მთლად ქვეყანა. ზღვად მობიბინე სიმინდი დააწვინა და ხეხილი დალეწა.

*** ქუთაისი: როგორც შევიტყვთ ქუთაისის ჟანდარმის პოლკოვნიკი ბ-ნი ნესტერევი გადაჰყავთ თურმე უფის გუბერნიაში.

*** იქიდამ: ბევრი რამე თქმულა ჩვენს მწერლობაში ქუთათურ კათოლიკეთა შესახებ, მაგრამ არა მგონია რამე გავლენა ჰქონებოდეს მათზე. შეიძლება ვსთქვათ, რომ ხანდისხან უკუ მოქმედება უფრო გამოჩენილა მათის მხრით, ვიდრე სურვილი ბიჯის წინ გადადგმისა. საფრანგეთიდგან ლურდის ღვთის მშობლის ჩამოსვენებას, ეკკლესიის გაბრწყინვალებას, სასწავლო პროგრამის მთლად ლათინურ ენად გადაქცევას, —აი რას ვხედავთ დღეს აქაურ კათოლიკობაში. განათლებული იმათში ნაკლებ მოიპოვება, თუმც ნივთიერი შეძლება ხელს მასცემდათ შვილების ალსაზრდელად. ვისაც-კი ბედად რგებია და სადიაკვნო სკოლას გამოსცდია და როგორმე სწავლა მიუღია, იმასაც-კი ატყვია ღრმად ის ბეჭედი, რომელიც აჯდება ბავშვის ნორჩს აგებულებას სამრევლო სკოლაში ყოფნის დროს. გონება გრძნობას შეუპყრია, გავრონება სარწმუნოებას, ქვეყნის სარგებლობა კათოლიკობას. მაგალითიც ყოფილა, რომ ნახევრად მაინც განათლებულს ნადიაკვნარს კათოლიკეს ვინაობის დაკითხვაზე ეთქვას: კათოლიკე ვარო.

ყოველმა კრებულმა საჭიროდ დაინახა სკოლის გაუმჯობესობა და აქაური კათოლიკობა-კი ყურსაც არ ათხოვებს. სკოლის შენობა, ეკკლესიასთან და პატრების სასახლესთან შედარებით, კაცს დილეგი ეგონება, ისეთი არის. ზაფხულობით დაგუბებული ჰაერი, ოთახებში უსუფთაობა, გარემოცულობა არა-პედაგოგიური, ცუდი სადიაკვნო პროგრამა და ამასთანვე ზამთრობით მსუსხავი სიცივე, რომლისაგანაც იზრდებიან ნორჩი, წელგაუმაგრებელი ბავშვები, როგორცა ვსთქვით, ისე მოქმედებს მოწაფეებზე, რომ კურსის დასრულების შემდეგაც წარუხოცველად ურჩებათ დიაკვნურის აღზრდის ბეჭედი.

*** 24 ივნისს „Семейный Садъ“-ის მოსამსახურეს, ივანე მიქაძეს, სადგომიდამ მოუპარავსთ თამასუქები, დავთარი შემნახველ-გამსესხებელის კასსისა და 15 მან. ფული, სულ 400 მან. სალირალი. ამას გარდა მოუპარავსთ მეტრიკის მოწმობა და პასპორტი. მიქაძეს გუმანი აულია თავისს ამხანაგ ვასილ გამარტელზე, რომელიც იმავე ბაღში მსახურობს. გამოძიება სწარმოებს.

*** 24 ივლისს, ღამე, მე-7 ნაწილში, ნასვამი ივანე ვოლობუევი თავისს გაუფრთხილებლობის გამო გადავარდნილა კლდიდამ, გოგილოს აბანოებს ახლო, და თავი გაუტეხია. ვოლობუევი სამკურნალოში გაუგზავნიათ.

## სამკურნალო

### ტალახი ალტალა, ანუ ვეძა.

ვეძა მდებარეობს სოფ. გურჯაანში (სიღნაღის მაზრაში), რომელიც თელავს ჰშორავს 30—35 ვერსით, სიღნაღს—22 ვ, ხოლო ტფილისს ასიოდე ვერსით.

სოფ. გურჯაანი ფართოდ დაფენილია ცივ-გომბორ-სიღნაღის მთების დაბალ ფერდობზე და დაჰყურებს მთელს ალაზნის ველს. მთელი ეს ველი და თვით გურჯაანის არე-მარე უხვად შემოსილია ღატულის ტყით, მშვენიერის ჭალაკებით და ზვრებით. ალაზნის მარცხენა მხარე კავკასიონის მთიანად მთლად მოდებულია ატეხილის ტყით, ხოლო მარჯვენა მხარე-კი ჭალაკებსა და ჭალაკებს შორის შეჭრელებულია სახნავ-სათესის ადგილით. თვით ფერდობი, რომელზედაც დაფენილია გურჯაანი, მოცულია მდიდარის ტყეებით და მრავალ გვარ ხესილით, თუთის ხეებითა და ვენახ-ზვრებით. ხეხილებში უფრო შესანიშნავია უშველებელი კაკლის ხეები, რომელნიც საამურად შრიალებენ და კაცს გულს უხალისებენ. სოფელში მრავალია ცივი კამკამა წყაროები, რომელნიც აქვე ნიადაგიდგან ამოდიან, და აგრეთვე რამდენიმე პატარ-პატარა ხევები, რომელთაგან ერთს ჰქვიან გაურ-

ვა. ამბობენ, ვითომ ამ წყლისაგან თვით სოფელს გურჯაანი დაერქვაო.

ახლა გვითქვათ რამდენიმე სიტყვა თვით ვეძზედ. საბანებელი ტალახი ვეძს იმყოფება სოფლის პირას, ზედ ფოსტის გზაზედ. ვეძა ჩავარდნილი, თიანის მზგავსი ადგილია, სიგრძე აქვს 130 საჟ., სიგანე 64 საჟ. გარეშემო ნაპირები აწეულ-ავარდნილი აქვს და ტყით შემოსილი. საბანებელი ტალახი ბუყბუყით ამოჩუხჩუხებს ათ თვალად. ყოველივე თვალი არის ცალკე გუბე. ტალახი ტყვიის ფერისაა, გემო აქვს მლაშე, მძიმე სუნი სდის. ქიმიკოსის შმიდტის გამოკვლევით, ტალახში მოიპოვება რკინა, თიხა, მინა, მაგნეზი, კირი, გოგირდი და ტალი. აუზებში არის გაზიც: გოგირდ-წყალბადიანი, ნახშირ წყალბადიანი და აზოტი, მცირედენი ნავთიც ურევია. ნადუღზედ წუმწუმა გავკარით და გაზმა მაშინათვე იფეთქა და ალი მაღლა ავარდა. გუბეები მეტად ღრმაა. ისეთი თვისება აქვს, რომ კაცს და არც სხვა პირუტყვს არა სძირავს. ბევრიც რომ გინდოდეს ჩაიყურყუმელაო, მაინც ვერ მოახერხებ, ზევით ამოგაგდებს. ამიტომაც მბანებელი ფრთხილად უნდა იყოს, ტანის თანასწორობა არ დაკარგოს, თორემ მაღლა ამოაგდებს. გაიბანება კაცი თუ არა, ამოვა და იქვე მიწიდგან რომ ამოჩუხჩუხებს წყარო, იმისს წყლით ერთ წამს მოიშორებს ტალახს.

ვეძას სამკურნალო თვისებას დიდი ხნით მიპყრობილი აქვს ხალხის ყურადღება. ხალხი ამბობს, რომ მისგან იკურნებიან ჭირიანი პირუტყვები და ადამიანებიც. ყოველ წელიწადს მრავალი ხალხი აწყდება ახტალასა. ამბობენ, იგი არჩენსო ყოველ გვარ ქარებს, მუწუკებს, ათაშანგს, ბუასილს, მუცლის ყოველ გვარ სნეულებას, თვალის ავადმყოფობას და სხვ. ლაპარაკობენ, რომ რამდენსამე ბანებას მოურჩენია კუტი სნეულები, რომელნიც ურმით მოუყვანიათ, ხელით ჩაუსვამთ ტალახში და ისე უბანებიათ. სამწუხაროდ უნდა გვითქვათ, რომ აქ არ არსებობს არავითარი მოწყობილება, არავითარი თავ-შესაფარი ავადმყოფებისათვის. ცის ამარაზედ ბანაობენ და შეიძლება კაცი, არა თუ მორჩინოს ვეძამ, არამედ უფრო დაასნეულოს. ვეძა ეკუთვნის ანდრონიკაშვილებს და გაუყოფელი ადგილია. პატრონები ერთმანეთში ვერა რიგდებიან და ამიტომ ახტალაც მოუშენებელი არის აქამდე. ახტალას მოელის კარგი მერმისი. ერთს დროს ეს ტალახი ვინ იცის რა მეიროვას განძად შეიქმნეს. დროა, ანდრონიკაშვილებმა უთანხმოებას თავი დაანებონ და ვეძა რიგიანად მოაწყონ. ეხლა გროში შემოსავალი არა აქვსთ, მაგრამ, თუ მოხერხებული აუზები დამართეს, ეჭვი არ არის დიდ-ძალი ხალხი მიაწყდება ვეძას და კარგს შემოსავალსაც მისცემს პატრონებს.

მოსე ჯანაშვილი

## უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიის მთავრობა ოფიციალურად აცხადებს ახლა ყოველ გარემოებას გენერალ ვინტერფელდის გულ-ცივად მიღებისას ინგლისის დედოფლის მიერ: „გაზეთები მწუხარებით ამბობენ, რომ ჩვენი დესპანი გულ-ცივად მიიღო ინგლისის დედოფალმა. ქვეყანამ იცის, რომ ინგლისის დედოფალი ვიქტორია გულ-ჩვილი ადამიანი არ არის, ინგლისის სამეფო სახლი მეტად მედიდური და პრანჭიაა. თვით დედოფალსაც ლაპარაკი არ უყვარსო“.

ჰავასის სააგენტო ამბობს: „იმპერატორების ნახვის შემდეგ საპოლიტიკო ყოფა ასეთია: რუსეთი იმავე პროგრამას ადგა ბოლგარიის შესახებ, როგორსაც ადგა აქამდე. გერმანიაც თანხმაა ამ პროგრამისა და ამასთან სცდილობს კიდეც, რომ ავსტრია დაიყოლიოს და დაათმობინოს რამე რუსეთისათვინაო“.

რიგის გაზეთი-კი ამბობს: ნახვის დროს იმპერატორებისა და იმათის მინისტრების სალაპარაკო მხოლოდ ის იყო, რომ განკარგდეს სამრეწველო და საალებ-მისაცემი ურთიერთობა გერმანიასა და რუსეთს შორისაო. მინისტრებმა დანიშნეს ქაღალდზე, თუ როგორ უნდა განკარგდეს ეს ურთიერთობა. მერე დაწვრილებით გაისინჯება ეს საქმე და ისე გამოცხადდება. ბოლგარიაზე ლაპარაკი სრულიად არა ყოფილა იმპერატორების ნახვის დროსაო.

**ინგლისი.** ერთი საერო გაზეთი დემოკრატულის მიმართულებისა სწერს პარნელის საქმის გამო: „ადვილად მისახვედრია, პარნელი ასე სუსტად რად ეწინააღმდეგება თავისს მტრებს. პარნელს უნდა ჯერ გამართლდეს როგორმე, როგორც თავისს მეგობრების წინაშე, ისე ინგლისელ დემოკრატების წინაშეცა, მაგრამ დავარწმუნებთ ბ-ნს დეპუტატს, რომ ასეთის ქცევით ის მეტის-მეტად ფრთხილობს. ინგლისელ ერის სახელით ჩვენ გამოგვიცხადებია ირლანდიელების მეთაურისათვის, რომ ჩვენ გვწამს იმისი პატიოსნება და კაცური კაცობა!“

— ინგლისელს ჯარის-კაცს ეძლევა დღეში 1 გირვანქა პური და 1 გირვანქაზე ცოტა ნაკლები ხორცი. მთავარ-სარდალს ჰერცოგს კემბრიჯისას უთქვამს, რომ ეგ გადაკვეთილი ჯერი ინგლისელის ჯარის - კაცისათვის საკმაო არ არისო და უთხოვნია სამხედრო კომისიისათვის, მიეცით დღეში ჯარის კაცს 1 გირვანქა პური და 1 გირვანქა ხორცი სუფთადაო.

**იტალია.** რომის პაპი და იმის მომხრე გაზეთებს არ უნდათ, რომ გერმანიის იმპერატორი რომში ესტუმროს იტალიის მეფეს ჰუმბერტოს. ეს გაზეთები ამბობენ, რომ იმპერატორის ვილჰელმის მოსვლა რომში შეურაცხება იქნება წმინდა მამისაო. მოხუცებული იმპერატორი ვილჰელმი, პაპა დღევანდელის ახალგაზდა იმპერატორისა, არც ერთხელ არ მოსულა რომში, რადგან იცოდა, რომ ამით აწყენინებდა რომის პაპს, იტალიის მეფისაგან რომში დატყვევებულსა. თუ-კი მოხუცებული იმპერატორი ასე იქცეოდა, მერე ისიც მაშინ, როცა უსიამოვნება ჰქონდა პაპსა და გერმანიას, განა შეიძლება, რომ ყმაწვილი იმპერატორი სხვაფრივ მოიქცეს ეხლა, როცა პაპი, უფალი და ბატონი მთელის ქვეყნის კათოლიკეთა, მსურველია, რომ მეგობრობით მოექცეს გერმანიასა და იმისს იმპერატორსაო. ამაზე გერმანელები ამბობენ: მოხუცი ვილჰელმი იმ ტომ არ წავიდა არც ერთხელ რომში, რომ არ უნდოდა ენახა პაპი, რომელიც იმისს ქვეშევრდომთ აღელვებდა საწინააღმდეგოდაო. ლეონ მე-XIII ჭკვიანი კაცია და იცის, რომ ეხლა დრონი იცვალნენ. მეფეში თავისუფლად უნდა დადიოდნენ აქეთ-იქით და ამიტომ ვილჰელმ მე-II ც უთუოდ წავა რომშიო.

**ავსტრი-ვენგრია.** ავსტრი-ვენგრიაში მისულა პაპის დესპანი და უთხოვნია მთავრობისათვის, მოახერხეთ როგორმე, რომ გერმანიის იმპერატორმა და ჰუმბერტომ რომში არა ჰნახონ ერთმანეთიო, მაგრამ მთავრობას არ შეუწყნარებია ეს თხოვნა დესპანის ჰალიმბერტისა.

— 1885—1886 წელს ავსტრიაში იყო 69 უმაღლესი სასწავლებელი, 252 საშუალო არა - სპეციალური, 1569 სპეციალური და 16,659 პირველ-დასაწყისი საერო სკოლა. უმაღლეს სასწავლებელში იყო 15,302 მსმენელი, საშუალოებში—71,252, პროფესიონალურ სასწავლებლებში 97,544 და პირველ-დასაწყისში—2.861,981 შეგირდი.

## წვრილი ამბები

გრევის ყველა თხზულებანი ჩქარა დაიბეჭდება და გამოვა თურმე ორს ნაწილად. ამ თხზულებაში მოქცეულია ნაპრეზიდენტალის პარლამენტსა და სასამართლოებში წარმოთქმული სიტყვები.

— ვენის სამედიცინო წრეებში ძალიან გაოცებულნი არიან თურმე ერთის ოპერაციით, რომელიც ამას წინად გაუკეთებია პროფესორს ბილროტს. წარსულს ზამთარს ერთს მეეტლეს გასცივებია ფეხები, ყურები, თითები და ცხვირი. ამ მეეტლეს მდგომარეობა უნუგეშო და საფრთხილო ყოფილა. ბილროტს მოუჭრია ავადმყოფისათვის ორივე ფეხი და ხელებზე მარტო თითო თითი-ღა დაუტოვებია. ცხვირი მოუჭრია და ხელთქმნილი გაუკეთებია და ყურებიც მოუშორებია. ავადმყოფს ეს საშინელი ოპერაცია ყოჩაღად აუტანია და ეხლა უკვე დადის თურმე ყავარჯნებით.

— ამერიკაში თავი უჩენია ვიღაც ცაკარს, რომელიც სრულად დაჰქვარავს და გააკვირვებს სახელსა და დიდებას ტანნერისა, ზუჩჩისა და ყველა განთქმულ მმარხულეთას. ამ კაცს ავერ უკვე 42 დღეა, რაც საჭმელი გემოთ არ უნახავს, თუმცა მახლობელნი და მცნობნი ამბობენ, რომ სჭამე რამეო. იგი უმეტეს ნაწილად ლოგინში ატარებს მთელს დღეს, ხოლო შუადღისას გამოდის თურმე გარეთ, თუ კარგი ამინდი სდგას. გონება სულობით არა აქვს დაკარგული, მშვიდად არის, ყველაფერზედ რიგიანად სჯის, ხოლო საჭმელზე-კი არას ამბობს. ამ კაცს შესვედრულობა იმ ავადმყოფისა აქვს, რომელიც მხიმე სენისაგან ის არის მორჩენილა და თანდათან ჯანი უსადდება.

— ამერიკის გაზეთები ამბობენ, რომ აქაური ზანგები ძალიან აღელვებულნი არიანო. იმათში გამოჩენილა ვიღაც მქადაგებელი, სახელად „შავს მოსეს“ ირქმევს და ამბობს, რომ ზენაარით მოწოდებულ ვარ, რამეთუ გადავარჩინო ამერიკის ზანგები და ამერიკისანი-კი თავისს წინანდელს სამშობლოშივე დავასხლოო. ამ ამერიკელთა მავდის სახელი არის ჯილს მოსსი. იგი ქვანსვილეში, ინდოეთში, სცხოვრობს, 62 წლისა იქნება და განთავისუფლებისათვის ატეხილს ომამდე მონა ყოფილა. ჯილსი იმდენად მჭევრმეტყველია, რომ უკვე სახელი გაჰქვარდნია ბრძნობისა და ზანგების მიერ დიდი პატივის-ცემა დაუმსახურებია. ეს „შავი მოსე“ არწმუნებს შავსავე ადამიანებს, რომ განემზადენით გზად, რათა დასწვათ ამერიკელთა ცრუ ღმერთნი და კაცის მჭამელებს ქრისტიანობა მიაღებინოთო. ყოველ კვირას იგი ქადაგებს კათედრიდგან და ტელეგრაფის შემწეობით ყველა შავი მქადაგებელნი დიდის აღტაცებით ეგებებიან ზანგთა წინასწარმეტყველს. ათასობით ქალები და კაცები მიდიან ინდიანისაკენ იმის მოსასმენად და ჩრდილოეთში-კი შავ-კანიანთ თავიანთი საქმეები რიგსა და წესში მოჰყავსთ, რათა იმის პირველ თქმაზედვე გაემგზავრნენ ამერიკისაკენ.

## დეპეშა

23 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს აზრი, რომლის ძალითაც სახელმწიფო ბანკს ნება აქვს სამის წლის განმავლობაში სესხი გასცეს რკინის გზის შემწეობით და გირაოდ პური აილოს. სესხი არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს საქონლის ფასისას. სესხი გაიცემა ნახევარის წლის ვადით და ან ვადის აღუნიშნელად. სარგებელს ნიშნავს სახელმწიფო ბანკი. მსესხებელმა უნდა იხადოს 1/3% სარეზერვო ფონდის შესადგენად და არა უმეტეს 1/3%-ისა იმ ხარჯის სამაგიეროდ, რომელიც რკინის გზამ უნდა გასწიოს.

**ტომსკი.** გუშინ აკურთხეს აქაური უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის ეკკლესიაში წირვის შემდეგ დამსწრენი შეიკრიბნენ აქტის დარბაზში, სადაც სამასწავლებლო ოლქის მზრუნველმა ფლორინსკიმ წაიკითხა უმაღლესი ბრძანება საექიმო ფაკულტეტის გამართვის თაობაზე. ფლორინსკიმ ამასთანავე წარმოსთქვა სიტყვა უნივერსიტეტის დანიშნულების შესახებ. დასასრულ მზრუნველმა წაიკითხა მილოცვის დეპეშები: დიდის მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძისა, შინაგან საქმეთა და საერო განათლების მინისტრებისა, უნივერსიტეტებისა, სამეცნიერო საზოგადოებათა. წაკითხულივე იქმნა ისტორიული წერილი ციმბირის უნივერსიტეტის შესახებ. ამ წერილში მოხსენებულია ღვაწლი ხელმწიფე იმპერატორისა, დიდის მთავრებისა, მინისტრებისა და კერძო მოღვაწეთა. შემდეგ გამართული იყო ხელის-მოწერა და სეირნობა. უნივერსიტეტის შენობა და ბაღი ჩინებულად იყო განათებული.

**ლონდონი.** აქ ამბავი მოვიდა, რომ იტალიის ჯარმა დაიკავა ნავთსადგური ზულუ, რომელიც მასსოვას ქვემოდ მდებარეობს. ნავთ-სადგურზე და მთელს მხარეზე გამოუცხადებიათ იტალიის პროტექტორატი. ლორდების პალატაში სალისბერიმ სთქვა, რომ მასსოვას საქმე განხეთქილებას არ გამოიწვევსო.

**ბუქარესტი.** ამაგრებენ ფოკშანსა და გალაცსა.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ბირჟა. გირავნობის ფურცლები საადგილ-მამულო ბანკებისა: ტფილისისაში იძლევიან 98¼ მანეთი, ქუთაისისაში—98 მ., ობლიგაციებში ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებისა—82½ მ.

24 ივლისი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაზეთი „Сибирская Газета“ შეჩერებული იქმნა რვა თვეის ვადით.

**ვენა.** გუშინ, დილის ხუთს საათზე, სამხედრო სასამართლომ დაასრულა საქმე პოლკოვნიკ ხარინსკის მკვლელობისა. ოთხის ჯარის-კაცისათვის დახვრეტით სიკვდილი მიუსაჯავთ, ათი კატორგაში უნდა გაიგზავნოს და რამდენიმე კაცი დისციპლინარულის წესით უნდა დაისაჯოს. ათი კაცი გაუმართლებიათ. თოთხმეტის დამნაშავის საქმე გაუგზავნიათ ომსკში დასამტკიცებლად.

**ბელგრადი.** სერბიის კონსისტორიამ მიჰმართა დედოფალს ნატალიას და სთხოვა დანიშნოს ვექილი განქორწინების საქმის საწარმოებლად. კონსისტორიამ შესწყვიტა საქმეები საზაფხულოდ და შეუდგება მეფისა და დედოფლის საქმეს შემოდგომაზე.

**ბერლინი.** სილეზიიდგან და ელზასიდგან იუწყებიან, რომ ძლიერის წვიმების გამო წყალ-დიდობაა; რკინის გზით მისვლა-მოსვლა ალაგ-ალაგას შეწყვეტილია, ყანები გაფუჭებულია. ამ გვარივე ამბები ისმის ბოჰემიიდგან, შვეიცარიიდგან და საფრანგეთიდგან, რონის ხეობიდგან.

**ვენა.** აქ მოვიდა სერბიის მეფე მემკვიდრე პრინციითურთ.

**რომი.** ბისმარკს ნოტა გაუგზავნია ვატიკანისათვის; ამ ნოტაში მოხსენებულია, რომ იმპერატორის ვილჰელმის მოსვლას რომში პაპის საწინააღმდეგო ხასიათი არა ექნება - რა, იმას მხოლოდ სამხედრო აზრი აქვსო. თუ საფრანგეთთან ომი ჩამოვარდა, გერმანიას იმედი აქვს, „რომ იტალია ნახევარ მილიონ ჯარს საფრანგეთის წინააღმდეგ გამოიყვანსო. იმპერატორს უნდა დაუმტკიცოს მთელს ევროპას, რომ გერმანიასა და იტალიას შორის სამხედრო კავშირი არსებობსო.

## განცხადებანი

გამგეობა ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ ამ ბანკში გასასყიდად არის დანიშნული ყოველთვის მორიგების ფასად ქვემოხსენებული მამულები, რომელიც ბანკს დარჩა საჭირო გარდასახადის შემოუტანლობის გამო.

I ქალაქის მამულები.

1. მაღალაშვილისა, მარიამ დიმიტრის ასულისა: ქ. ტფილისს, ძველს დამოქანაში.

პროკოფოვიჩისა, სვიმონ პროკოფის ძისა: ქ. ტფილისს, წყნეთის ქუჩაზედ.

3. ამიროვისა და მირზოევისა: ქ. ტფილისს, ველიამინოვისა და განოვის ქუჩებზედ.

4. ბარათაშვილისა, ნიკოლოზ გრიგოლის ძის: ქ. ტფილისს, ძველს დამოქანაში.

5. ერვიესი, ივანე ივანეს ძისა: ქ. ტფილისს, საიუნკრო სასწავლებელს ახლო.

6. მელიქოვისა, ივანე ალექსანდრეს ძისა: ქ. ტფილისს, ერასა და აგურხანების ქუჩაზედ.

7. ჩხეიძესი, პლატონ გიორგის ძისა: ქ. ქუთაისს, ბალახოვანის ქუჩაზედ.

8. თუმანიშვილისა, სვიმონ თომას ძის: ქ. ალექსანდროპოლს.

9. ქურულისა, დურმიშხან შალვას ძისა: ქ. გორს.

II სოფლის მამულები.

1. ერისთავისა, იოსებ დავითის ძისა: თიანეთის მაზრის აგარაკ ბოჰორმაში.

2. ბაქრაძესი, იოსებ დავითის ძისა: ტფილისის გუბერნიის აგარაკ სართიჭალაში.

3. კორიტინისა და ბერკოვიჩისა: ტფილისის მაზრის აგარაკთ შავთასა და ვანეთს.

ამ მამულების აღწერანი და საბუთები მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ ბანკის გამგეობაში დილის 10 საათიდგან ნასადილევის 1 საათამდე.

3—1


**პომადა**

**რ. კიოლერისა და ამხ. ფაბრიკისა,**

მოსკოვში.

1) ქინაქინისა. 2) ტვინისა.

3) ალვის ხისა, დოქტორის შვეიკარტისა

ყურად საღებია ყოველთათვის, ვისაც-კი, პომადის ხმარების დროს, თმის შერჩენა ეძვირფასება.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში — რ. კიოლერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ 3—1 (ц.)


Доз. ценз. Тифлисъ, 25-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. , Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე